„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ნოემბრის N129/2024 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

თბილისი

2024 წლის 21 დეკემბერი

თსუ რექტორის 2024 წლის 14 ნოემბრის N310/01-01 ბრძანების, 2024 წლის 15 ნოემბრის N312/01-01 ბრძანების, 2024 წლის 15 ნოემბრის N 311/01-01 ბრძანების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს N129/2024 2024 წლის 28 ნოემბრის N18 სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორის და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი) წევრი
თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)- წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული რვა კათედრაზე:

1. **მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა**

პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

2. **ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრა**

პროფესორი (ბ -კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.
საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

3. **მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა**

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული. საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

4. პედიატრიის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული. საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

5. ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიის დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

6. კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრა

ასოცირებული პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

7. კლინიკური ქირურგიის კათედრა II

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

8. პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

9. ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრა

ასისტენტ-პროფესორი (ბ კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული

საბუთები შემოიტანა ერთმა კონკურსანტმა.

საბუთების მიღების დასრულებისთანავე, კომისიას გადაეცა კონკურსანტების საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტების მიერ შემოტანილი საბუთები ცალ-ცალკე (ოქმი N1); დოკუმენტები შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების მიხედვით; კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან და კონკურსანტები გადავიდნენ მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტებთან გასაუბრება შედგეს 21 დეკემბერს 13:00 საათიდან - 15:00 საათამდე, კონკურსანტების წარმოდგენილი გრაფიკის მიხედვით.

აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტებს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

21 დეკემბერს 13:00 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2).

<u>13:00 საათიდან -15:00 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორებმა: ჯენარო ქრისტესაშვილმა, ლალი შარვაძემ, დავით დავარაშვილმა, ლალი საგინაძემ, რუსუდან ივანიშვილმა, თინათინ სუპატაშვილმა, ქეთი ცომაიამ, ბესიკ კვიცარიძემ, მიხეილ ზარამიამ. გასაუბრება შეეხო მათ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობის გამოცდილება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს იმ კურსებს, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამედიცინო პრაქტიკულ საქმიანობას. პროფესორმა გია ლობჟანიძემ კომისიის წევრებს დასაბუთებულად გააცნო კონკურსანტების კლინიკური, სამეცნიერო და სასწავლო მუშაობის დადებითი მხარეები. კომისიის წევრმა თამარ ლეკაშვილმა განსაკუთრებულად აღნიშნა კონკურსანტების პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება. კომისიამ წარმოადგინა მონაცემები კონკურსანტების სამეცნიერო აქტიურობის შესახებ უკანასკნელი წლების განმავლობაში. იმავე დღეს 15:00 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. შეფასდა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტების მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 45 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა:

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ჯენარო ქრისტესაშვილის არჩევას;
თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ლალი შარვაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დავით დავარაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ლალი საგინაძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიის დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე რუსუდან ივანიშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე თინათინ სუპატაშვილის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური ქირურგიის კათედრა II - ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ბესიკ კვიცარიძის არჩევას;

თსუ მედიცინის ფაკულტეტზე პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ქეთი ცომაიას არჩევას;
თსუ მედიცინის ფაკულტეტზე ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მიხეილ ბარამიას არჩევას.

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

კომისიის აზრით:

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი **ჯენარო ქრისტესაშვილი** ათეული წლებია მუშაობს როგორც ექიმი-რეპროდუქტოლოგი, მკვლევარი და პედაგოგი. იგი დიდი ენთუზიაზმით ასწავლის ახალგაზრდა თაობას როგორც დიპლომამდე, ისე დიპლომის შემდგომ სამედიცინო - საგანმანათლებლო პროგრამებს. მისი ხელმძღვანელობით დაცულია არაერთი სადოქტორო დისერტაცია. არის მრავალი სტატიის და კვლევის ავტორი. ჯენარო ქრისტესაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი ქალბატონი **ლალი შარვაძე** არის წამყვანი ინფექციონისტი, ერთ-ერთი მონაწილე და ორგანიზატორი საქართველოში "c"- ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის. ქალბატონი ლალი თანაავტორებთან ერთად არის მრავალი

სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზატორი და აქტიური წევრი. მისი სტატიები დაბეჭდილია მსოფლიოს მრავალ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალში იგი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს როგორც ამავე კათედრის ასოცირებული პროფესორი და წარმატების უძღვება მასე დაკისრებულ მოვალეობას. ქალბატონი ლალი შარვაძე იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **დავით დავარაშვილი** არის თბილისის ერთ-ერთი წამყვანი მეან-გინეკოლოგი. იგი არის დამფუძნებელი ერთ-ერთი წამყვანი სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკის და მოწადინებულია კლინიკის სრული ინფრასტრუქტურა მაქსიმალურად დაუთმოს თსუ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სასწავლო პროცესისთვის. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა უცხოეთში, წამყვან კლინიკებში. ამჟამად ასევე გახლავთ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის ხელმძღვანელი. მას აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური გამოცდილება, რომელიც სრულად შეესაბამება საუნივერსიტეტო მოთხოვნებს. ბატონი დავითი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **ლალი საგინაძე** ათეული წლის განმავლობაში მუშაობდა პედიატრიის-ს/კ ინსტიტუტში როგორც ექიმი და მეცნიერი. მრავალი წლის განმავლობაში თავის გამოცდილებას უზიარებს სტუდენტებს და მუშაობდა აღნიშნულ კათედრაზე როგორც მოწვეული პედაგოგი. კათედრის წევრებთან ერთად ჩატარებული აქვს მრავალი პროფილური-სამეცნიერო კონფერენცია, მათ შორის სტუდენტებთან. ქალბატონი ლალი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **რუსუდან ივანიშვილი** არის გამოცდილი ექიმი-სტომატოლოგი და ქირურგი. წლების განმავლობაში მუშაობს აღნიშნულ კათედრაზე როგორც მოწვეული პედაგოგი და საკმაოდ პატივისცემით სარგებლობს სტუდენტებში. მას მონაწილეობა აქვს მიღებული პროფილურ სამეცნიერო კონფერენციებში როგორც მომხსენებელს. ქალბატონი რუსუდანი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიის დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **თინათინ სუპატაშვილი** მრავალი წელია მუშაობს აღნიშნულ კათედრაზე როგორც ასისტენტ-პროფესორი. იგი მისთვის დამახასიათებელი თავდადების, პასუხისმგებლობით და ენთუზიაზმით მუშაობს სტუდენტებთან. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტების მიერ ჩატარებული კვლევები არაერთხელ დაბეჭდილა საერთაშორისო- სამეცნიერო კონფერენციების მასალებში. ქალბატონი თინათინი მაქსიმალური პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც სასწავლო ისე

სამეცნიერო მუშობას. ქალბატონი თინათინი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **ბესიკ კვიცარიძე** არის გამოცდილი ანგიოქირურგი. წლების განმავლობაში მუშაობდა უცხოეთის წამყვან კლინიკებში და ამჟამად ხელმძღვანელობს კლინიკა „ვივამედი"-ს ანგიოქირურგიულ სამსახურს. გარდა ამისა იგი დიდი წარმატებით არის ჩართული დიპლომისშემდგომ პროფილურ საგანმანათლებლო პროგრამებში. აქვს საკმაო პედაგოგიური გამოცდილება. იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა II - ის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **ქეთი ცომაია** იყო თსუ მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტი, წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მას შემდეგ მუშაობს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე როგორც მოწვეული პედაგოგი. ამასთანავე იგი არის გამოცდილი ექიმი-პათოლოგი. ქალბატონი ქეთი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

მედიცინის დოქტორი **მიხეილ ბარამია** არის ცნობილი და წარმატებული ექიმი-რადიოლოგი. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა უცხოეთის კლინიკებში და არის მრავალი საერთაშორისო საზოგადოების წევრი. წლების განმავლობაში მუშაობდა როგორც მოწვეული პედაგოგი. იგი ამჟამად ხელმძღვანელობს თოდუას კლინიკაში რადიაციული ონკოლოგიის სამსახურს. ბატონი მიხეილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია "ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი **ჯენარო ქრისტესაშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ლალი შარვაძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **დავით დავარაშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ლალი საგინაძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის პედიატრიის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **რუსუდან ივანიშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიისა და სტომატოლოგიის

დაავადებათა პროფილაქტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **თინათინ სუპატაშვილი** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ზესიკ კვიცარიძე** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური ქირურგიის კათედრა II-ის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

მედიცინის დოქტორი **ქეთი ცომაია** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;

მედიცინის დოქტორი **მიხეილ ზარამია** გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე;

კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ N 118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა- შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა:

_____

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

_____

ნინო შარაშიძე (თსუ პროფესორი) - მოადგილე

_____

ია კირვალიძე (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მდივანი

_____

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

_____

თამარ ლეკაშვილი (თსუ ასისტენტ- პროფესორი)